დავალება 1.

მოცემულია 2 ტოლი წრე. ერთი წრე დაყოფილია 4 ტოლ ნაწილად, მეორე კი - 8 ტოლ ნაწილად. შეადარე წრეების გაფერადებული ნაწილები ერთმანეთს. რა ნიშანი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში?

ა) < ბ) > გ) = დ) +

დავალება 2. ცხრილში მოცემულია მაღაზიაში გაყიდული პროდუქტების რაოდენობები

პროდუქტის დასახელება	რაოდენობა (კგ)
ხილი	166
ბოსტნეული	83
ყველი	118
ხორცი	145

ცხრილის მიხედვით რომელი წინადადებაა სწორი?

ა) გაყიდული ხილის რაოდენობა უფრო ნაკლებია ვიდრე ბოსტნეულის.

ბ) გაყიდული ყველის რაოდენობა მეტია ვიდრე ხორცის.

გ) გაყიდული ხილის რაოდენობა ორჯერ მეტია ბოსტნეულის რაოდენობაზე

დ) გაყიდული ბოსტნეულის რაოდენობა გაყიდული ხორცის რაოდენობის ნახევარია.

LIVEWORKSHEETS

დავალება 3.

რიცხვი 52137 წარმოდგენილია სათანრიგო შესაკრებთა ჯამად:

$$5 \cdot 10000 + 2 \cdot 1000 + 1 \cdot 100 + 3 \cdot \square + 7$$

რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში?

ა) 0 ბ) 1 გ) 10 დ) 100

დავალება 4.

ნახაზზე გამოსახულია პატარა კუბიკები და მათგან შედგენილი სვეტები და დიდი კუბები. თითოეული **სვეტი 10 კუბიკისაგან** შედგება, ხოლო **დიდი კუბი – 1000 კუბიკისგან.**

სულ რამდენი პატარა კუბიკია ამ ნახაზზე?



ა) 2504 ბ) 2045 გ) 254 დ) 245

დავალება 5.

რომელ ვარიანტშია დალაგებული რიცხვები კლების მიხედვით ?

ა) 25000, 37000, 48000, 53000

ბ) 3700, 3100, 2500 , 2200

გ) 25000, 28000, 13700, 30000

დ) 3700, 5400, 8100, 8300

დავალება 6.

როგორი რიცხვი უნდა გამოვაკლოთ **7000**-ს, რომ მივიღოთ **2000**-ზე ნაკლები რიცხვი?

ა) 9000-ზე მეტი

ბ) 5000-ზე მეტი

გ) 5000 -ზე ნაკლები

დ) 9000-ზე მეტი

LIVEWORKSHEETS

დავალება 7.

რომელ ფიგურაშია გაფერადებული მისი **მეოთხედი**?



ა) I ბ) II გ) III დ) IV

დავალება 8.

ნინო 5 დღის განმავლობაში დილის 9 საათზე ზომავდა ჰაერის ტემპერატურას. გაზომვის შედეგები სვეტოვან დიაგრამაზეა მოცემული:



რომელ დღეს იყო ტემპერატურა ყველაზე მეტი და რამდენი?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

LIVEWORKSHEETS

დავალება 9.

წაიკითხე ცხრილში მოცემული ინფორმაცია:

სახელი	დაბადების წელი	დაბადების ადგილი	სკოლა	კლასი
დაჩი	2003	ბათუმი	№ 8	მეხუთე
დათო	2004	თბილისი	№ 25	მეექვსე
ეკა	2003	თბილისი	№ 8	მეხუთე
კახა	2003	თბილისი	№ 25	მეხუთე

ჩაწერე ცარიელ უჯრაში იმ ბავშვების სახელები, რომლებიც ერთსა და იმავე წელს დაიბადნენ და თან ერთსა და იმავე ნომერ სკოლაში სწავლობენ.

დავალება 10.

დაფაზე წერია რიცხვები:

100; 2450; 5300; 3280

მოსწავლემ შეკრიბა **ორი** მათგანი და აღმოაჩინა, რომ მიღებული ჯამის უახლოესი **ასეული 5700-ია**. რომელი ორი რიცხვი შეკრიბა მოსწავლემ ?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

LIVEWORKSHEETS